**რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.**
**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

# ჩვენი ბრძოლა

ყოველდღიური გაზეთი.

№ 3

ფასი 15 კ.

**შაბათი, 10 მარტი 1918 წ.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე. ფული, კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Воронцовская ул., ,,Лампари''—Михаилу Медзмаріашвили для газ. ,,Чвени Брдзола''. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კაპეიკი.

ცალკე ნომერი ყველგან 15 კაპ.

ორგანო დასავლეთ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (ბოლშევიკების).

8 მარტიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური გაზეთი

**,,ჩვენი ბრძოლა''**

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი წლით | 40 მ. | ორი თვით | 6 მ. 50 კ. |
| ექვსი თვით | 20 მ. | ერთი თვით | 3 მ. 50 კ. |
| სამი თვით | 10 მ. | ცალკე ნომერი | 15 კ. |

მისამართი: Кутаисъ, Воронцовская ул., „Лампари“—Михаилу Медзмаріашвили для газеты „Чвени Брдзола“.

## რედაქციისაგან.

**ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“ საკუთარი თქვენი ორგანოა. თითოეული პარტიული ორგანიზაცია და ყველა შეგნებული მუშა და გლეხი ვალდებული არიან „ჩვენი ბრძოლის“ რედაქციასთან მუდმივი და განუწყვეტელი კავშირი იქონიონ და მას ყოველნაირათ დაეხმარონ. ყოველივე თქვენი შენიშვნა, ყოველივე თქვენ მიერ მოწერილი ამბავი ანუ კორესპონდენცია მუშების და გლეხების ცხოვრებიდან დიდი ყურადღებით იქნება მიღებული და გამოქვეყნებული.**

**კვირას 11 მარტს**

დილის 10 საათზე, პარტიულ კლუბში (ყოფილი „პროვოდნიკის“ შენობა)

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) პარტიული

## საზოგადო კრება

განსახილველია ფრიად საყურადღებო კითხვები.

ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ.

## ანარქია და მენშევიკები.

მთელი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხი, იშვიათ მოთმინებას იჩენდა, რევოლიუციის ნაყოფის მოლოდინში საუკუნოებრივ სიბეჩავეს ითმენდა, ძველებურათ ოფლში იწურებოდა და სიღატაკეს არაფრათ აგდებდა.

ჩვენებურ ნაცარქექია რევოლიუციონერებს და სოციალისტებს აქედან მხოლოდ ის დასკვნა გამოყავდათ, რომ ხალხი მუდამ ასე გაშეშებული იქნება მათი ლაყბობით და რევოლიუციებით მაძღარი. ხელი არ გაანძრიოთ, მოუცადეთ დამფუძნებელ კრებას, ის მოგანიჭებს ყოველივე ბედნიერებასო—გაუძახოდენ მუშა, გლეხს და ჯარის კაცს. დამფუძნ. კრება კი ჯერ მარიობისთვისთვის გადაიდვა, მერე ოქტომბერს და კიდევ ნოემბრისთვის. მაგრამ ცხადი იყო, რომ ბურჟუაზია სულაც არ მოიწვევდა ამ კრებას, თუ კი რამე საშუალება ექნებოდა ამისთვის. მოთმინება დაკარგულ რუსეთის მუშათა კლასმა და გლეხობამ ოქტომბრის რევოლიუცია მოახდინეს და რევოლიუციონური წესით გადასჭრეს ყველა ხალხის სასარგებლო საკითხი.

ასეთი „თავხედობა“ ჩვენებურ მოლაყბეებმა ვერ მოითმინეს, რევოლიუციის საჭურისებმა ამიერ-კავკასია რუსეთს ჩამოაშორეს და ალყა შემოირტყეს, ბურჟუაზიას და სხვილ მემამულეებთან მჭიდრო კავშირი შეკრეს, მათ დაუძმობილდენ.

მაგრამ ხალხის აღშფოთების ნაპერწკლები ავარდა აქა-იქ და მალე ალათ მოედვა მთელ მხარეს რათქმა უნდა ხალხის მოძრაობის ზედა პირზე ბევრი სიბინძურე ატივტივდა, ქუჭყიანი ქაფი მოედო, მაგრამ თვით მოძრაობას ასაზრდოებდა ხალხის მიუცილებელი საჭიროების დაუკმაყოფილება, ხალხს მოთმინება დაეკარგა, ის ვერ მოუცდიდა მეორე მოსვლამდის თავის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას. მენშევიკებმა კივილი იწყეს, ეს ყველაფერი ბოლშევიკების პროვოკაციაა, თორემ ხალხი „რევოლიუციონურ წესიერებას“ არასოდეს არ უღალატებსო. მალე შეიქნენ იძულებული თითონ აელოკათ თავისი ნაფურთხი. სწრაფათ შეხანხლეს რეფორმების პროგრამა და სეიმის 15 თებერვლის სდომაზე გამოაქვეყნეს. თან ერთგვარი ბოლოშიც მოიხადეს. ნ. ჟორდანიამ განაცხადა ,,როდესაც სახალხო მოძრაობა იწყება, ამაში დამნაშავე არა ხალხი, არამედ ის მთავრობა, რომელმაც თავის დროზე ვერ დააკმაყოფილა ხალხის სურვილები და მისწრაფებები. არც ერთ ხალხს არ უცდია რევოლიუციის ნაყოფისათვის ერთი წლის განმავლობაში, ჩვენში კი აგერ ერთი წელი გადის და ხალხს არ მიუღია ის, რისთვისაც ის ახდენდა რევოლიუციას; დღემდის ვერ მოხერხდა აგრარული საკითხის გადაჭრა. მართალია, შემდეგ გამოიცა დეკრეტი მიწის შესახებ, მაგრამ იგი დღემდის მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და ცხოვრებაში დღემდის არ გატარებულა, სანამ არ გადიჭრება მიწის საკითხი, სანამ არ მივსცემთ ხალხს იმას, რაც აღუთქვით, ანარქია სოფელში თანდათან გაძლიერდება''. ასე გამოთრახა საჯაროთ თავი იმ პარტიამ, რომელიც ხალხის მოძრაობას ნაძირალების ხულიგანობის და ბნელ ძალების აღვირ წახსნილობის სახელით ნათლავდა. მაგრამ დიდი გულუბრყვილო უნდა ყოფილიყო ის ადამიანი, რომელიც იფიქრებდა, რომ წვრილ ბურჟუაზიული პარტია მენშევიკებისა დიდხანს შეირჩენდა გონების ასეთ უეცრათ განათლების სხივს, წვრილ ბურჟუაზიულ სოციალისტის და რევოლიუციონერის ტვინი მუდამ რყევასა და ქანაობაშია, სწორ რევოლიუციონურ ხაზს ის დიდხანს ვერ გაჰყვება. ასეც მოხდა. ორი კვირე ძლივს გავიდა მას შემდეგ, რაც ნ. ჟორდანიამ მენშევიკების პარტიის სახელით და დავალებით ზემოთ-მოყვანილი სიტყვები წარმოსთქვა, რომ იმავე კათედრიდან, იმავე პარტიის სახელით სრულიად რუსეთის ოქროპირმა, ახლა ,,ატსტავკა მიღებული'' ირ. წერეთელი რიხიანათ აცხადებს:

ანარქია და სამშობლოს მოღალატეობა გამცემობა ერთი და იგივეაო, სახალხო მოძრაობის მონაწილე რევოლიუციის მოსისხლე მტერიაო და მათ მოეპყრობით როგორც ასეთებსო, ე. ი. „ალაგმვა“-დატუსაღება და დახვრეტით ემუქრებიან მათ, ვინც მთელი წელიწადი მოთმინებით უცდიდა რევოლიუციის ნაყოფს და დღეს პირში ჩალა გამოვლებული რჩება ახლა ვიკითხოთ ვინ უფრო სისწორით ცხადჰყოფს მენშევიკებისა და მთავრობის ნამდვილ აზრს და იდუმალ ზრახვას—ნ. ჟორდანია, თუ წერეთელი? ორივე პარტიის სახელით გამოდის და ოფიციალურ განცხადებას აკეთებს, მაგრამ მენშევიკების სულისკვეთების გამომხატველი წერეთელია და არა ჟორდანია ამ შემთხვევაში. ხელახლა სურთ ხალხის თვალის ახვევა; უნდათ მათივე სანაქებო მოღვაწეობით გაჩენილი გარეშე საფრთხე გამოიყენონ და ზოგი მოტყუებით და ზოგიც შეშინებით დააჯერონ, რომ ქვეყნის თავდაცვას უნდა მიაქციოს მშრომელმა ხალხმა მთელი თავისი ყურადღება, მტრის მოგერებამდე კი ხელი უნდა აიღონ რევოლიუც. რეფორმების განხორციელებაზე. ასე ამძინარებდენ რუსეთშიაც მუშასა და გლეხს, ასე თავის დაუნებურათ აღვივებდენ სწორეთ იმ ანარქიას, რომელსაც ვითომ ებრძოდენ. ოქტომბრის რევოლიუციამ ბოლო მოუღო იქ ასეთ მდგომარეობას. ჩვენშიაც, თუ ვისმეს სურს ნამდვილათ შეებრძოლოს არევ-დარევას და ანარქიას, დაუყოვნებლივ რევოლიუციონურ რეფორმების განხორციელებას უნდა შეუდგეს დღესვე. „თავდაცვის“ საკითხი თუ მოსატანია აქ, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მშრომელი ხალხი სწორეთ მაშინ შეებრძოლება გაათკეცებული ძალით გარეშე მტერს, როცა შინაური მტერინ-ბურჟუაზიის და სხვილი მემამულეების მძიმე უღელს თავს დააღწევს. ნიწააღმდეგ შემთხვევაში ვერც თავდაცვის საქმე მოეწყობა სასურველათ, და ანარქიაც უფრო და უფრო გაძლიერდება, როგორც ნ. ჟორდანიამ „იწინასწარმეტყველა“ ერთი წლით დაგვიანებით.

## ამიერ-კავკასიის სეიმი.

(დასას. იხ. „ჩვენი ბრძოლა“ № 2)

სეიმმა უკვე 13 თებერვალს გამოაცხადა თავისი თავი ამიერ-კავკასიის ბატონ-პატრონათ, კანონმდებელ დაწესებულებათ და შეუდგა მუშაობას რა ხასიათისაა ეს მუშაობა, რა საფუძველს ეყრდნობა სეიმი, რა ბუნების მქონეა? მე მგონია ვერც ერთი ისტორიკოსი და ვერც ერთი იურისტი, რა გინდ რევოლიუციონურ საზომით არ სარგებლობდენ ისინი, ამ კითხვებზე გარკვეულ პასუხს ვერ მოგვცემენ

ჩვენ უკვე ვიცით, რომ სეიმის წევრები ხალხს არ აურჩევია, ისინი არჩეული იყვენ მხოლოდ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის. მაშასადამე, ამიერ კავკასიის რუსეთზე ჩამოშორების, გამოყოფის საკითხი, აგრეთვე ზავის კერძოთ ჩამოგდების, ან ომის გაგრძელების და სხვა ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხების წამოყენების შესაძლებლობაც კი, უარყოფილი იყო ხალხის მიერ. არჩევნები ხდებოდა გარკვეულ პარტიულ პლატფორმების მიხედვით და არც ერთ პროგრამაში ყოფილა ამიერ-კავკასიის დამოუკი-

დებლობის მოთხოვნაც კი დამფუძნებელ კრებაზე. თან არჩევნები მოხდა მოძველებულ სიების მიხედვით და მომხდარი არჩევნებში დაახლოვებითაც არ ხატავს მხარის პოლიტიკურ მდგომარეობას. ოქტომბრის რევოლიუციამ ღრმა კვალი გაიყვანა მშრომელი მასსის პოლიტიკურ შეგნებაში, და ეს კვალი თან და თან თვალსაჩინო ხდება. რევოლიუციონურ ხანაში ყოველგვარი არჩევნები ფართო მასსის პოლიტიკურ-სოციალურ მიდრეკილების ნამდვილი სურათი უნდა იყოს და ამიტომ უდავოა ის, რომ ახლა რომ მომხდარიყო არჩევნები, სულ სხვა შედეგების მოწმე ვიქნებოდით.

მაგრამ სეიმი მაინც აცხადებს თავს კანონ. დაწეს. ვისი სახელით? ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ ხალხის წარმომადგენლების კრებას თავი გაგამოუცხადებია დამფუძნებელ კრებათ და ამით დაუწყია რევოლიუცია მეფეების თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ჩვენში მეფის თვითმპყრობელობა ძირიან-ბუდიანათ ამოვარდა და თუ ვინმე თვითმპყრობელი დღეს ეს მხოლოდ და მხოლოდ ხალხი, მისი ნება ყოველგვარი უფლების წყარო. ხალხის წინააღმდეგ დამფუძნებელ კრებათ თავის გამოცხადება სეიმის მიერ, ეს ხომ ისტორიაში უმაგალითო რეაქციონერობა იქნებოდა, და სეიმიც არ ირქმევს ფორმალურათ ამ სახელს. მაგრა არ ირქმევს მხოლოდ. ნამდვილათ კი, ის ისეთ უმნიშვნელოვან საკითხებს ეხება და სჭრის, რომ მთელი ამიერ-კავკასიის ისტორიულ ბედს სწყვეტს რამოდენიმე ათეულ წლით, თუ არა საუკუნოთ ვის შეუძლია ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გადაწყვეტა, თუ არა ხალხის პირდაპირ გადაწყვეტილებას? ვის დაავალა ხალხმა ამ საკითხის გადაჭრა, სად, რომელი გზით, საბჭოთა ყრილობაზე, თუ რეფერენდუმის სახით ცხადჰყო მან თავისი ნებისყოფა? სეიმი კი წარმოუდგენლათ ეხება ამ, ხალხის ყოფნა-არყოფნის, საკითხს და ხდის მას მორიგი რეზოლიუციის საგნათ. ასევე იოლათ ეხება ის ომის, და ზავის საკითხებს, დამფუძნებელი კრების სახელწოდებას კი გაურბის.

შეუძლია თუ არა სეიმს თავისი თავის კანონმდებელ დაწესებულებათ გამოცხადება? კანონმდებელი დაწესებულება, სეიმი იქნება თუ პარლამენტი კონვენტი, თუ საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სათავეს პოულობს დამფუძნებელ კრებაში, ან სათანადო სიეზდში. დამფუძნებელი კრება გამოიმუშავებს ძირითად კანონებს, გარკვეულ კონსტიტუციას და მას დაუდებს საფუძვლათ კანონმდებელ დაწესებულებას-სეიმს თუ პარლამენტს,—რომელსაც აირჩევს ქვეყანა ძირითადი კანონებით დადგენილ წესით. რომელ დამფუძნებელ კრებამ გამოიმუშავა ამიერ-კავკასიის ძირითადი კანონები? რა კონსტიტუციას ეყრდნობა და საფუძვლათ იხდის სეიმი? არავითარს. გადააბრუნებ-ისევ და ისევ გეგეჭკორი, გადმოაბრუნებ-ისევ ხანხოსკი. რის ძირითადი კანონი, რას კონსტიტუცია? უამისოთაც იოლათ მიდიან, ჯერ ჯერობით კოალიციის რაინდ-ზოგი კეთილსინდისიერათ სცდება და მოტყუებული რჩება. ზოგი კი სეიმში სახელდახელო ნიღაბს ხედავს, რომლის შემწეობით დრომდე ფარავს თავის კონტრ-რევოლიუციონურ ბუნებას და მავრაზმულ განზრახვას. მენშევიკები თვალს უპაჭუნებენ მუსავატელებს, დაშნაკელები აგნმარტოებული რჩებიან, მარა შავი კატა ხშირათ გაირბენს ხოლმე მოარშიყეთა შორის და ძმურ კოალიციას წვრილ ძაფზე ჰკიდებს, როგორც ეს იყო ქ. არდაგანის მუსულმანების მიერ დაკავების შესახებ ცხარე კამათის დროს. მაგრამ, ჯერ-ჯერობით ეს უდღეური თამაში ცეცხლის მფრქვეველ მთაზე, რასაც წარმოადგენს დღეს ჩვენი ამიერ-კავკასია, გრძელდება. იკარგება დაუფასებელი დრო ქვეყნის საშველათ, რევოლიუციის გაყინვის ასაშორებლათ. მშრომელი ხალხი, მუშა, გლეხი და ჯარისკაცი მხარს ვერ დაუჭერს ასეთი ბუნების და შთამომავლობის მექონე სეიმს. ის მოითხოვს მთელი ძალა უფლების გადასვლას საბჭოთა ხელში. ის მოითხოვს ამიერ კავკასიის გამოცხადებას საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკათ, რომელიც აღადგენს რევოლიუციონურ კავშირს საბჭოების რუსეთთან და გაიზიარებს მის ჭირს და ლხინს. სანამ გვიან არაა, კვლავ ვიბრუნოთ ყველამ პირი ჩრდილოეთისაკენ, წითელ პეტროგრადისაკენ.

## პრესის მიმოხილვა.

„სახ. საქმე“-ში შ. ნუცუბიძე უსაყვედურებს მენშევიკებს იცით რას? ვითომ მენშევიკები მხოლოდ იმაზე ფიქრობდენ და ქართველ ერს მოუწოდებდენ ეროვნულ პოლიტიკის უარყოფისკენ და რუსეთის დემოკრატიასთან ხელჩაკიდებული საერთო ცენტრის ვამაგრებისაკენ. თურმე, ნუ იტყვით, მენშევიკებმა რუსეთს შეალიეს მთელი თავისი ძალა და ამიტომ ქართველ ერს არ აღმოჩენია საჭიროების დროს რეალური ძალა! ჩვენ უნდა ვამოვექომაგოთ მენშევიკებს, უდანაშაულოთ ისჯებიან. რევოლიუციონური რუსეთი მათაც ისე სძულთ, როგორც ყოფილ ბოლშევიკებს და ნაციონალისტებს. და თუ კერენსკი-წერეთლების რევოლიუციას მხარს უჭერდენ, ეს ხომ არ გაემტყუნებათ—გიორგი მეთორმეტეც ასე მოიქცეოდა.

მადა ჭამის დროს მოდისო. მადა გაეხსნა, ნამდვილი მგლური მადა, ჩვენს მენშევიკებსაც, გადააყენებს ხალხი მათ კომისარს, რომელიც ეგებ ყოფილ პრისტავებზე უარესია,—ეს კონტრ-რევოლიუციაა გაიძახიან ისინი, ეს ვანდეაა, ტყვიით პასუხის გაცემაა საჭირო. მოხდება სადმე არეულობა-ეს ბოლშევიკების მოწყობილი „ბუნტია“, თუმცა ამავე დროს მათი მოციქულები სეიმის კათედრიდან აღიარებენ, რომ, როცა ხალხი არეულობას ახდენს, დამნაშავე-არა ხალხია, არამედ მთავრობა.

კლიტე დაადვეს ჩვენს პარტიას, მოგვიხურეს ყველა გაზეთები, დალუქეს სტამბები, საპყრობილეში ჩაგვიყარეს ბევრი ამხანაგები და სისხლით შეღებეს ალექსანდრეს ბაღის მოედანი, მაგრამ სიმშვიდე ვერ იპოვნეს. ახლა მიხურეს გაზ. „ვოზროჟდენი...“ ულრენებ ნაც. დემოკრატებს სოც.-ფედერ. გაზეთებს და იმეო... ბენ სისწორით იმ სიტყვებს, ... ლებიც გვესმოდა ჩვენი პარტიის ... ზეთების დარბევის წინა დღეებში.

გაზ. „ერთობა“ „პროვოკატო... ბის ალაგმვა“-ს მოწყობაში ... ლოვნებულია: კიდეც მიუ... განწირულ მსხვერპლზე და ... „იდეურათ“ დაასაბუთებს ... აუკილებლობას. ის არ ... გაზეთის დახურვას.

„ვოზროჟდენიე“-ს დახურვა ... იგი—საკმაო არ არის, საჭიროა ... დაქტორის პასუხის გებაში ... რომ ხალხის მტრებმა ღირს... სასჯელი მიიღონ. ჩვენ ვასამარ... ლებთ ყაჩაღებს. რათ უნდა და... დაუსჯელნი კალმის ავაზაკები ...

გორში, თელავში, ქუთაისში, ... ხუმის მაზრაში, თვით თფილისში ... ყველგან ავაზაკები. ყველა პარტია ... გარდა მენშევიკებისა - ავაზაკთაგან... საზღვრებზე გარეშე მტერი. ... იმედი გაქვთ, ბატონებო, ქვეყ... შველას რომ ფიქრობთ და „სასტ... ბრძოლით“ ემუქრებით ყველას-შ... და გარეთ?

---

ქუთათური გაზეთი „სოც.-დემო... კრატი“, ტყუილების და ინსინუაცი... ების თხზვაში საკმარისათ დახელოვ... ვნდა ამ უკანასკნელ დროს მის ... გუშინდელ მეთაურში ჩვენ იქ, სხ... თაშორის, ვკითხულობთ:

„რუსეთში დამარცხებული ბო... ლშევიკები ეხლა ჩვენში განაგ... ნობენ თავის დემაგოგიასა და ... ლა იმ შეუგნებელ მასას, რომელ... ხულიგნობის გზაზე დამდგარა, ... ვის დროშას ქვეშ თავს უყრ... და ნამდვილ რევოლიუციონურ ... მოკრატიას ებრძვიან.“

ტყუილსაც აქვს საზღვარი. ვთქვა... ბალშევიკები მართლა დემაგოგი... საგან და ხულიგნებისაგან შესდგე... მაგრამ რა საფუძვლით აცხადე... ის ბალშევიკების დამარცხებას რუ... სეთში? ალბათ წერეთელი და ჩხ... ძეც იმიტომ გადმობარგდენ ამ... კავკასიაში რომ რუსეთში ბალშ...

---

## მიწის საკითხი და რევოლიუცია.

(დასას. იხ. „ჩვენი ბრძოლა“ № 2)

საკვირველი ის იყო, რომ, როგორც მენშევიკები, ისე სოც.-რევოლიუციონერები, მუდამ იმას ამბობდენ, რომ მიწის საკითხს რუსეთში, გადაჭრის მხოლოთ რევოლიუცია და, როცა ამის განხორციელებაზე მიდგა საქმე, მაშინ იმათ უღალატეს თავის რწმენას და მემამულეებს შეუთანხმდნენ. ახლა ვიკითხოთ, როგორ შეხედა გლეხკაცობა რევოლიუციას? ყველამ იცის, რომ გლეხობის დიდი უმრავლესობა გონება განუვითარებელია, ის ბნელ მასას წარმოადგენს; იმავე დროს ის დაქსაქსული და შეუკავშირებელია, ყოველ შემთხვევაში, ის შედარებით საკმარისათ ღრმად ვერ ერკვეოდა, რომ მას რევოლიუცია მიწას მისცემდა. გაჭირდა ერთბელ ხვნა-თესვის დროს მიახლოვდა მეორეთ, მაგრამ მიწის საკითხი ისევ ძველებურათ იყო, თავისთავათ იგულისხმება, რომ ამ დროის თავდ ირინა სხტაქტიკაში მოუწყობელმა მთავრობამ, რომლის წინაღმდეგ კერენსკის და კორნილოვის მთავრობა დამსჯელ რაზმებს გზავნიდა. მხოლოთ ოქტომბრის რევოლიუციამ გადასჭრა სავსებით მიწის საკითხი გლეხების სასარგებლოთ. მაგრამ ეს იყო თვით რუსეთში. რაც შეეხება ამიერ კავკასიას, მიწის საკითხი აქ ბევრათ უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო იმ თავითვე და დღეს კი კიდევ უფრო უარესათაა: მიწის საკითხი აქ დღემდის მოუგვარებელი და გადაუჭრელია, და ეს ერთი წლის რევოლიუციის შემდეგ. ამას ცნობენ დღეს ოფიციალურათ ამიერ-კავკასიის მთავრობის წარმომადგენლები და სულის ჩამდგმელები, ამას აცხადებს დღეს თვით ნ. ჟორდანია, ესე იგი ის პირნი, რომლებიც სათავეში უდგენ ამიერ-კავკასიის „რევოლიუციონურ“ მთავრობას და რომელთა ხელშიაც იყო მიწის საკითხის გადაჭრის საქმეც. მაგრამ ეს არ მოისურვეს ამიერ-კავკასიის მენშევიკებმა და სოც.-რევოლიუციონერებმა. ისინი მხოლოთ სიტყვით პირდებოდენ გლეხობას მიწის მიცემას, საქმით კი ქართველ მემამულეებს, თათრის ბეგებს და ხანებს და სომხის კაპიტალისტებს უწევდენ ანგარიშს, მათთან ახდენდენ მორიგებას. და, როცა ბალშევიკები იწუნებდენ და გმობდენ მენშევიკების და ესერების ასეთ მოღალატურ ტაქტიკას, როცა ისინი ფარდას ხდიდენ ამ ვაჟბატონებს კონტრ-რევოლიუციასთან დაკავშირებას გლეხების და მუშების რევოლიუციის წინააღმდეგ, ისინი ჩვენ ანარქისტებს და დეზორგანიზატორებათ გვნათლავდენ დღეს კი, როცა იმათი ტაქტიკა სავსებით გაკოტრდა, ვინაიდან იმათი დამღუპველი ტაქტიკის წყალობით ამიერ-კავკასიის გლეხობა, ან სრულებით ვერ შეიქნა დაინტერესებული რევოლიუციით, ან მას გულგრილათ უცქერის, დღეს ნ. ჟორდანია და მისი ამხანაგები აშკარათ ხედავენ, რომ თათრის გლეხკაცობა ოსმალეთის ორიენტაციას იზიარებს და ის სრულებით რევოლიუციით არ არის დაინტერესებული და ან კი რისთვის უნდა იყოს დაინტერესებული ამ რევოლიუციით? რა მისცა მას რევოლიუციამ? თითქმის არაფერი. ჩვენ გვესმის, როცა რუსეთის მუშები და გლეხკაცობა აღფრთოვანებით ებრძვიან შინაურ და გარეშე კაპიტალისტებს და მემამულეებს. მაგრამ რისთვის უნდა იბრძოლოს ამიერ-კავკასიის გლეხობამ რევოლიუციის დასაცავათ, როცა მას ჯერ გლეხკაცობისთვის არაფერი გაუკეთებია: მენშევიკებს შესანიშნავი შემთხ... ქონდათ ხელში დაეინტერესებ... რევოლიუციით ამიერ-კავკასიის გლ... კაცობა, განსაკუთრებით თათ... გლეხკაცობა. მაგრამ იმათი მ... პოლიტიკა თითქმის არაფრით ... განსხვავდებოდა მტარვალი მ... პოლიტიკისაგან,—თავისუფლები მი... მფლობელობის და მიწის სარ... ლობის წესების უმნიშვნელო ც... ლევისათვის მენშევიკებიც გზა... დენ დამსჯელ რაზმებს გლეხ... წინააღმდეგ რევოლიუციის ხანა...

და აი ეს ტაქტიკა სავსებით ... კოტრდა, თვით მენშევიზმიც. მაგ... უბედურება ის არის, რომ ეს ... ტიკა ღუპავს თვით რევოლიუც... მენშევიკები გაიძახიან დღეს მ... საკითხის გადაჭრის დაჩქარებ... იმათ აინტერესებს მხოლოთ თა... ბატონობის შენარჩუნება.

ისინი ფიქრობენ ამ საკითხის ... დაჭრას სეიმის საშუალებით, ... კაპიტალისტებთან და მემამულ... თან შეთანხმებით. ეს ტყუილი ... ვაა. გლეხობამ თვითონ უნდა აი... თავის ხელში მიწის საკითხის გ... ჭრა.

კები დამარცხდენ! გეყოფათ, ბატონებო, ამდენი ტყუილების თხზვა.

———

მენშევიკები თითქო გონს მოვიდენ. ახლა იმათ გადაუწყვეტიათ მიწის საკითხის გადაჭრის დაჩქარება. გაზეთი „ერთობა" სწერს:

„ერთი მთავარი რეფორმა, რომელიც ცხოვრებამ წამოაყენა გადასაჭრელათ, მიწის საკითხია, ამ საკითხს უნდა მიექცეს ჩვენი უპირველესი ყურადღებაო."

ეს ერთი წლის რევოლიუციის შემდეგ! მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდენ მიწის საკითხი ჩაეფუჩჩებიათ რას არ იგონებდენ, ოღონდ ამ საკითხის გადაჭრა როგორმე გადედვათ. ახლა, როცა იმათი პოლიტიკა საჩვენით გაკოტრდა, როცა ხალხი თითონ შეუდგა მიწის საკითხის გადაჭრას, ერთი მხრით, და, როცა თავისი დამღუპველი პოლიტიკით იმათ ჩამოაშორეს რევოლიუციას თათრის გლეხობა, — ახლა გაიძახიან მიწის რეფორმის დაჩქარებაზე. გვიანღაა. ბატონებო, თქვენი რეფორმა ხალხი თითონ ანხორციელებს, რაც მას სჭირია. ახლა ნაციონალ დემოკრატებიც კი („საქართველოდან") თანაუგრძნობენ მიწის რეფორმის დაჩქარებას. რაღა განსხვავებაა თქვენსა და იმათ შორის!

---

## ყვირილის „დიქტატორები".

პატარა „დიქტატორები" ყვირილასაც მოვლინებიან. იმათ აუწყეს ქვეყნიერებას თავის არსებობა გასულ თებერვლის 24-25 რიცხვს. იმათი „დიქტატორობა" გამოიხატება ჯერჯერობით მხოლოთ იმაში, რომ ჩვენს ამხანაგს ბუდუ მდივანს დაბა ჩხარში ხელი შეუშალეს ლექციის დროს სროლის ატეხით შემდეგ იგი დაჭერილი მიიყვანეს ქ. ყვირილაში იქ მას გამოუცხადეს, რომ ყვირილის პატარა ბაბაჭკორები ანუ დიქტატორები მთელ შორაპნის მაზრაში მას უკრძალავენ ლექციების კითხვას და საზოგადოთ ყოველგვარ პარტიულ მუშაობას და ნიშნათ ამისა მას (ბუდუ მდივანს) მთელი შორაპნის მაზრიდან სამუდამოთ აძევებენ. ასეთი „საგმირო" საქმეს ჩადიან „სოციალისტური მთავრობის" აგენტები რევოლიუციის სახელით!

ყველაფერი ეს აშკარათ მოგვაგონებს ნეტარხსენებულ ნიკოლოზის და მისი განუკითხველი სატრაპების დროს. ახლა არ იკითხავთ, თუ რით ასაბუთებენ ყვირილის ყვინჩილა „დიქტატორები" თავის აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებას? ყველა იმათი „საბუთები" მოთავსებულია გაზ. „სოც.-დემოკრატის" № 269-ში ყვირილის მ., ჯ. და გ. დეპ. აღმასრულებელი კომიტეტის ოქმის სახით. ამ ოქმში აღნუსხულია ყველა ის „დანაშაულებანი", რომლებიც ბუდუ მდივანს ჩაუდენია დ. ჩხარში*) დანაშაული პირველი: „ბ. მდივანი მისულა დ. ჩხარში 24 თებერვალს". დანაშაული მეორე: „მისვლისთანავე მას (ბ. მდივანს) გამოუცხადებია, რომ იგი წაიკითხავს იმ საღამოსვე ლექციას და მოუწოდებდა ხალხს (პოი, საშინელობავ!) ლექციაზე დასასწრებლათ" დანაშაული მესამე: „დელეგაციის წინადადებაზე ლექტორს მანდატი წარედგინა „ბ. მდივანს პირდაპირ უპასუხნია „მე არავითარ მანდატს არ ვესაჭიროებ და არც არავისგან ვთხოულობ ნებართვის აღებასო". დანაშაული მეოთხე: მდივანს დაენიშნა დიდი სამაზრო მიტინგი 25 თებერვლისთვის, რისთვისაც იგი ძალაზე ემზადებოდა. დანაშაული მეხუთე: „კვირა დილას მდივანს ერთ ოთახში ცალკე (კრების-მიტინგის წინ) შეეკრიბა ზოგიერთი ნაწილი ყოფილი ჯარისკაცებისა და მათ ამზადებდა მიტინგისათვის" აი ყველა „დანაშაულებანი" რომლებიც ბუდუ მდივანს ჩაუდენია დ. ჩხარში, რისთვისაც მან დაიმსახურა ასეთი „ყურადღება" ჩხარის და ყვირილის „დიქტატორების" მხრით. მაგრამ ერთი დიდი დანაშაული ჩვენ აქ განგებ არ მოგვიხსენიებია. ამ დანაშაულს ასე გვიწერს საბრალმდებლო ოქმი: „როდესაც დელეგაციას აღუნიშნავს დღევანდელი მწვავე მდგომარეობა, როდესაც სულ უბრალო შემთხვევით გამოსვლებს შეუძლია არა სასურველი ექსცესები დაბადოს. მდივანს უპასუხნია: სასურველია, ეს მეთერთმეტე იქნებაო" (ხაზი თვით ოქმს აქვს გასმული). რამდენათ სწორათ აღნიშნულია ყველა დანარჩენი „ბრალდებები"; იმდენათ ყოვლად უსირცხვილო ცილის წამებაა ეს უკანასკნელი „ბრალდება". განა შესაძლებელია ბუდუ მდივანს ეთქვა, რომ ექსცესების მოხდენა „სასურველიაო" და დაემატებია, რომ ეს მეთერთმეტე იქნებაო? დელეგაციისთვის, რომელიც ბუდუ მდივანს უკრძალავდა ლექციის წაკითხვას, მას გამოუცხადა შემდეგი: იმათ საბუთს, რომელიც მას აქვს კომისარიატის წინააღმდეგ, ახლა კიდევ მეთერთმეტე საბუთი ემატება, მით, რომ ამ კომისარიატის აგენტები თავისუფალი მოქალაქეს, რევოლიუციონური პარტიის წარმომადგენელს საჯარო ლექციის წაკითხვის ნებას არ აძლევენო. ამხ. მდივანის ეს განცხადება ჩხარის და ყვირილის უეპარმა „დიქტატორებმა" ისე გადააკეთეს, რომ ვითომ მას განეცხადებინოს ექსცესების მოხდენა სასურველიაო. ასეთი ცილისწამებით ამართლებენ ეს ვაჟბატონები თავის კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებას, რაც გამოიხატება ბუდუ მდივანის დაჭერაში მხოლოთ იმტომ, რომ მან საჯარო ლექცია წაიკითხა დ. ჩხარში გარდა ამისა ოქმი სტყუის, როცა ამბობს, რომ მიტინგი ბ. მდივანს დაენიშნოს, ვინაიდან მიტინგი 25 თებერვალს თვით ხალხის მიერ იყო დანიშნული. სტყუის იქა იმაშიაც, რომ მიტინგი ვითომც თავისთავათ დაშლილიყოს, ვინაიდან მიტინგი ჩაშალეს თვით „დიქტატორებმა" მით, რომ ხალხი დააშინეს და მიტინგზე წასვლა აუკრძალეს სტყუიან ეს ვაჟბატონები, როცა სწერენ, რომ „მდივანს ვსთხოვეთ წამოსულიყო ყვირილაში"-ო. კარგია. თქვენსა მზემ: კაცს 50 (ცხენოსანი მილიციონერი გარსშემოარტყეს და ასე გაატარეს 25 ვერსი ყოველგვარი რევოლიუციონური მოღვაწეობა აუკრძალოთ, ძალდატანებით გამოაძევოთ მთელი მაზრის საზღვრებიდან, და ყველა ამის შემდეგ კიდევ სთქვათ: „მდივანს ვსთხოვეო" და სხვ. თქვენი პრესტიჟისათვის უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს „ოქმი" სრულებით არ გამოგეყენებიათ, ვინაიდან ის მხოლოთ თქვენ გამტყუნებთ და სამარცხვინო ბოძზე გაკრავთ.

*) ყველა „დანაშაულებებში" სიტყვა სიტყვით გვაქვს ამოწერილი.

---

## რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) მეშვიდე ყრილობა.

პეტროგრადი. 23 თებერვალი. ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმის მინდობილობით ამხ. სვერდლოვი ხსნის ყრილობას 6 მარტს 8 საათზე და 45 წ. ყრილობის გახსნის დროს ჩამოსული იყვენ 36 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით, რომლებიც აერთიანებდენ 148,000 ორგანიზაციულათ შეკავშირებულ პარტიის წევრს, და 23 დელეგატი 21,000 პარტიულ წევრებიდან.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მეექვსე ყრილობაზე პარტიაში ირიცხებოდა 240,000 წევრი, ახლანდელ ყრილობაზე წარმოდგენილნი არიან ნახევარზე მეტი პარტიული წევრები.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა — ლენინი, სვერდლოვი, ბუხარინი, კრესტინსკი, სოლოვიოვი და პალაზინი.

ყრილობა ღებულობს რეგლამენტს. სვერდლოვი ურდგენს ყრილობას მეექვსე ყრილობის, რომელიც მოხდა ივლისში, ცენტრალური კომიტეტის მოკლე საორგანიზაციო ანგარიშს. 1917 წ. აგვისტოს შემდეგ პარტიული ორგანიზაციები გაზრდილა ერთი ორათ, სამათ; საერთოთ არა ნაკლებ ერთი ნახევარისა. ამრიგათ ახლა პარტიაში ითვლება 400,000 წევრი. ეს ციფრი ძალიან შემოკლებულია, რადგანაც ბევრი პარტიული წევრები არ ითვლებიან თავიანთ ორგანიზაციებში და იმყოფება შინაურ ან გარეშე ფრონტზე აღსანიშნავია ის, რომ ძალიან იზრდებიან წვრილი ორგანიზაციები მიყრუებულ სოფლებში და ქალაქებში ბევრია წმინდა გლეხური ორგანიზაციები. აგვისტოს შემდეგ ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდა მუშაობა ცენტრალურ კომიტეტს. ცენტრალურ კომიტეტის სეკრეტარიატს უხდებოდა სხვადასხვა ფუნქციები შესრულება გაზეთების ექსპედიციის შესახებ; მაგ. გაზ. „პრავდას" ფოჩტაში ყოველთვის აჩერებდენ და იძულებული ვიყავით გვეგზავნა ის ცალკე ეკზემპლიარებათ ბანდეროლით.

ლენინი იწყებს თავის მოხსენებას პოლიტიკური ბრძოლის მოკლე მიმოხილვით რევოლიუციის დაწყებიდან. ბურჟუაზიული მოკავშირე კაპიტალი მხარს უჭერდა ერთი წლის უკან მუშათა მასის ამხედრებას თვითმპყრობელურ რეჟიმის წინააღმდეგ. როდესაც ეს უკანასკნელი დაიმსხვრა და განთავისუფლებული მასა განაგრძობდა თავის გზას, რამოდენიმე ხანს ეს მასა გამსჭვალული იყო „ობორონცული" და შეთანხმების პსიხიკით, რომელიც ზურგს უმაგრებდა შეთანხმების მთავრობას. ივლისამდის მასა განაგრძობდა ასეთი გზით სიარულს, მაგრამ მერმეთ ძალიან ჩქარა დაინგრა ბურჟუაზიულ დემოკრატიის შენობა, რომლის აგებასაც ცდილობდენ შეთანხმების მომხრე პარტიები შემდეგ მუშურ-გლეხური რევოლიუცია განაგრძობდა ტრიუმფალურ მსვლელობას რუსეთში. თანდათან ემხობოდა ბურჟუაზიის და მისი აგენტების პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა. ამ დროს საერთაშორისო იმპერიალიზმი გართული იყო თავის შინაურ საქმეებში, და ამ გარემოებამ ჩვენ ძალიან შეგვიწყო ხელი, მაგრამ ბოლოს მაინც დაიწყო შემოტევა საერთაშორისო იმპერიალიზმში.

პარტიის სახელის და პროგრამის შეცვლას შესახებ, ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუციები:

პარტიის სახელის შეცვლის შესახებ, ყრილობამ დაადგინა, რომ რუს. სოციალ-დემოკრ. მუშათა პარტიას (ბოლშევიკებისას) ეწოდოს დღეიდან რუსეთის კომუნისტური პარტია დამატებით ბრჭყალებში ბოლშევიკებისა.

ყრილობამ დაადგინა აგრეთვე შესცვალოს ჩვენი პარტიის პროგრამა: გადაამუშაოს მისი თეორეტიული ნაწილი ან შეავსოს ის იმპერიალიზმის დახასიათებით და საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის დაწყებითა შემდეგ პროგრამის პოლიტიკური ნაწილი უნდა შეცვლილ იქნას რაც შეიძლება მეტი დაწვრილებით და დასაბუთებული სახელმწიფოს ახალი ტიპის, საბჭოთა რესპუბლიკის დახასიათებით.

პროგრამა უნდა გვეუბნებოდეს, რომ ჩვენი პარტია გამოიყენებს ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს, თუ რევოლიუციონურ ბრძოლის მსვლელობა დაგვხევს ჩვენ უკან რამოდენიმე ხნით ყოველ შემთხვევაში, ჩვენი პარტია იბრძოლებს საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

ასევე უნდა იქნას გადამუშავებული პროგრამის სხვა ნაწილებიც, როგორც ეკონომიური, მასთან ერთათ აგრარული, ისე პედაგოგიური და სხვა ნაწილები დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამის ეკონომიურ ნაწილს.

ყრილობა ანდობს ამას განსაკუთრებულ კომისიას შვიდი კაცისაგან, რომელშიაც შედიან: ლენინი, ბუხარინი, ზინოვიევი, ტროცკი, სტალინი, სოკოლნიკოვი და სმირნოვი.

---

## ქრონიკა.

8 მარტს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ინება ჩვენი დატუსაღებული ამხანაგების განთავისუფლება. გამოშვებულია მეტეხის ციხიდან: თედორე კალანდაძე, კამალოვი და შმულევიჩი. ამხ. პეტრენკოს ჯერ კომისარიატი არ ანთავისუფლებს.

ყოველი ცდამ, დატუსაღებულ ბოლშევიკებისთვის რაიმე ბრალდება მოეხვიათ თავზე, უნაყოფოთ ჩაიარა. პროკურორმა და გამომძიებელმა ვერაფერი ნახეს საბრალმდებლო ოქმის შესადგენათ.

მენშევიკები (გეგეჭკორი, ჟორდანია და სხვ.) ბევრს ყვიროდენ, რომ ჩვენ „დოკუმენტები" გვაქვს ხელში, რომლითაც მტკიცდება დანაშაული, მათი მონაწილეობა გორის მაზრაში მემამულეების დახოცვაშიო და სხვ. ამის დაბრალება სურდათ თედ. კალანდაძისთვის და გ. პარკაძისთვის. სხვებს კიდევ სხვა ამგვარ ბრალდებებს ახვევდენ თავზე. მაგრამ, როგორც ყოველთვის, აქ მენშევიკების უსინდისო ცილის წამება და უსამართლო ძალმომრეობა ყველასათვის აშკარა შეიქნა. ვერ მოახერხეს ბრალდების შეთითხნა და ჩვენი ამხანაგები ერთი თვის ციხის შემდეგ, გამოუშვეს „ზალოგში" (სამას მანეთში თითო), ჯერ მოითხოვეს ათასი მანეთი თითოზე, მერე ხუთასი და ბოლოს ვაჭრობის შემდეგ სამას მანეთზე ჩამოვიდენ. ამხ. თედ. კალანდაძეზე, რომელსაც ფილტვები დაზიანებული აქვს, ციხემ და ოთხი დღის საპროტესტო შიმშილობამ ძალიან ცუდი გავლენა იქონია.

# რევოლიუციონური რუსეთი

ჩვენ მივიღეთ შემთხვევით დონის ნახიჩევანის და როსტოვის სამხედრო რევოლიუციონური კომ. ორგანოს („Извѣстія Нахичеванскаго и Донскаго и Дону военно-революц. Комитета) ერთი ნომერი (№ 11. 27 თებერვლის რიცხვიდან. ვინაიდან რუს. დღეს ამიერ-კავკასიაში სოციალისტურ გაზეს არ ატანებენ, რის გამო ადგილობრივი მკითხველები იძულებული არიან იკვებონ იმით, რასაც ბეჭდავენ კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიული და მენშევიკური გაზეთები,—და ესენი ბეჭდავენ კი მხოლოთ საზიზღარ ჭორებს და ინსინუაციებს, ჩვენ ვსარგებლობთ ამ ერთი ნომრით, რომ ავხადოთ ფარდა იმას, რაც რუსეთში ხდება, და რასაც ასე დაჟინებით უმალავს ხალხს ადგილობრივი პრესა.

—

მთელი ძალა-უფლება პეტროგრადში საბჭოების ხელში რჩება, რომელიც მაგრად დგას მუშათა კლასის და ქალაქის ღარიბების ინტერესების დაცვაზე, და ყოველივე ზომებს იღებს მშვიდობიანი ცხოვრება დაამყაროს ქალაქში. საბჭო კატეგორიულად აცხადებს, რომ პეტროგრადს არავითარი საფრთხე არ მოელის.

პეტროგრადის საბჭო მოუწოდებს მუშებს დაიცვან სიწყნარე და რევოლიუციონური სიფხიზლე.

პეტროგრადის დეპუტატთა საბჭო აფრთხილებს ყველას ვინც ავრცელებს პროვოკაციულ ხმებს, გადაეცემა რევოლიუციონურ ტრიბუნალს. ვინც დაარღვევს რევოლიუციონურ წესრიგს სასტიკათ დაისჯება.

პეტროგრადი 25 თებერ. სახალხო გინათ. კომისარ-ატი აცხადებს, რომ კომისარიატის ნაწილი გადადის მოსკოვში. მთელი რიგი კომისარიატის განყოფილებებისა კი პეტროგრადში რჩება. სახალხო განათლების კომისარი ლუნაჩარსკი პეტროგრადში რჩება.

პეტროგრადი 25 თებერვ. მემარცხენე ესერების ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ ის ჯერ ვერ ხედავს საჭიროთ გადაიტანოს პარტიული დაწესებულებები პეტროგრადიდან მოსკოვში

პეტროგრადი 25 თებ. საგამომძიებლო კომისიის დადგენილებით გაანთავისუფლეს ბურცევი დ ავქსენტიევი.

შავი ზღვის ფლოტი.

ამიერკავკასიის კომისარიატის სახელზე სევასტოპოლიდან შემდეგი რადიო დეპეშა მოვიდა. შავი ზღვის ფლოტის ცენტ. კომიტეტს ცნობები მოსდის, რომ კავკასიის მცხოვრებლები ებრძვიან ბათომსა და ფოთში რუსეთის სოციალ. რესპუბლიკის გემებსა და მეზღვაურებს: დააკავეს კრეისერი „კარლოსი“ და პატარა გემები. იცით თუ არა თქვენ ამ ამბების შესახებ, ან რით არის ის გამოწვეული. კეთილ ინებეთ და სასწრაფოდ შეგვატყობინეთ ცენტ. ფლოტის თავმჯდ. კ. რუსს.

პირდაპირი მავთულით მოსკოვიდან

მოსკოვიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან, რომ ომის და ზავის საკითხი განხილული იქნება მოსკოვში 12 მარტს (ა ს ) საბჭოების ყრილობაზე მეორე საკითხი, რომელსაც განიხილავენ ამ კრებაზე, იქნება საკითხი საბჭოთა მთავრობის და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პეტროგრადიდან მოსკოვში გადმოსვლის შესახებ.

სამხედრო მოქმედება მთელ ფრონტზე შეჩერებულია. უკრაინელების ჯარები დგანან იმ ადგილებში, რომელიც ნაჩვენები იყო საზავო ხელშეკრულების ტექსტში.

პეტროგრადი. 24 თებერვალს რადგან პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ პეტროგრადის ევაკუაციის, სასურსათო კრიზის შესახებ და სხვ. პეტროგრადის მუშათა საბჭო საჭიროთ აღიარებს განაცხადოს, რომ თუმცა საჭიროთ სცნობს მთავრობის ცენტრი მოსკოვში გადაეცეს მაგრამ ეს საკითხი საბოლოდ საბჭოების საგანგებო ყრილობაზე გადაწყდეს.

პეტროგრ-დი 25 თებერ. „პრავდა“ მოწინავე წერილში, „მოსკოვი—სატახტო ქალაქი“ სწერს: როდესაც პეტროგრადს გერმანელების დაცემის საფრთხე მოელოდა, სახალხო კომისართა საბჭოს არ დაუტოვებია პეტროგრადი. ახლა კი, როდესაც სამშვიდობო პირობები ხელმოწერილია და პეტროგრადს პირდაპირი საფრთხე არ მოელის, საბჭოების მთავრობა ქალაქს სტოვებს. ეს არაა გაქცევა; ეს ზომაა, რომელიც საჭიროა პოლიტიკურ თვალსაზრისით. გერმანიის იმპერიალიზმის ჯარები სამი დღის სავალზეა პეტროგრადიდან. რომ მთავრობა პეტროგრადში დარჩეს, ის კლანჭებში ეყოლება გერმანიის ულტიმატუმს. მიდის რა პეტროგრადიდან, სახალხო კომისართა საბჭო ერთ და იმავე დროს იცავს რევოლიუციონურ მთავრობას, რომელიც არ იქნება გერმანიის სამხედრო მოქმედების გავლენის ქვეშ, და იმავე დროს იცავს პეტროგრადს, რომელიც აღარ იქნება გერმანიის შეტევის მიზანი. მეორე მხრით, მოსკოვში გადასვლას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ვიწყებთ ახალ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მოსკოვში გადასვლაა იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ რევოლიუციის ძალა არ შემცირებულა, ძალდატანებითი ზავი მხოლოდ მანამდი იქნება, სანამ ეს ძალდატანება არსებობს. საფრანგეთის და ინგლისის მუშებისთვის ეს საუკეთესო დამამტკიცებელი იქნება იმის, რომ რუსეთის რევოლიუციას არ შეუძლია გერმანიის იმპერიალისტებს შეუთანხმდეს.

საბჭოების მთავრობა მოსკოვში გადადის, ის იქ გამაგრდება. პეტროგრადის მუშები და მათი საბჭოები თავის ადგილზე რჩებიან, რომელნიც კვლავინდებურად იბრძოლებენ მუშების და გლეხების რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისათვის.

# რეზოლიუციები.

ერთხმათ მიღებული იქნა 15 საზოგადოების ყოფილ ჯარისკაცების და გლეხების დელეგატების კრებაზე. 28 თებერვალს 1918 წ. დ. წალენჯიხაში (ზუგდიდის მაზრა) შემდეგი რეზოლიუციები:

ჩვენ ყოფილ ჯარისკაცების და გლეხების თუთხმეტი საზოგადოების დელეგატებმა მოვისმინეთ რა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების და აგრეთვე ბატონ მაზრის კომისარის მოხსენებები მომენტის შესახებ, ვადგენთ შემდეგს; 1) ჩვენ—როგორც რევოლიუციონერები და ჭეშმარიტი დამცველნი რევოლიუციის და სამშობლოსი გარეშე და შინაური მტრებისაგან, მოვითხოვთ დაუყონებლივ მოხდეს არჩევნები გლეხთა საბჭოებისა როგორც რაიონში, ისე მთელ მაზრაში.

2) დღეიდან სრულიათ გაუქმებულ იქნას აღმასრულებელი კომიტეტები და ყველა მისი ფუნქციები გადაეცეს გლეხთა საბჭოებს, როგორც ერთად ერთ დამცველს რევოლიუციონური ღარიბესი გლეხების და მუშებისა.

3) არავითარი შემთხვევაში ჩვენ არ ვემხრობით იმათ, ვინც ლაპარაკობენ ამიერ-კავკასიის რუსეთიდან გამოყოფას მანამ, სანამდე ამიერ კავკასიაში არ შედგება მუშათა და გლეხთა საბჭოების მთავრობა რომელიც იქნება სრული ნდობით აღჭურვილი ამიერ-კავკასიის გლეხების და მუშების მიერ, რომელსაც შეუძლია გამოყოფაც და შეერთებაც რუსეთთან.

4) სასტიკ პროტესტს უცხადებთ ამიერ-კავკასიის კომისარიატს რომელმაც დახვრიტა მშვიდობიანი მიტინგი და დაღვარა უმანკო სისხლი მშვიდობიანი მცხოვრებლების და მუშების, 10 თებერვალს ქალ. თბილისში, აგრეთვე დაუყონებლივ მოვითხოვთ განთავისუფლებულ იქნან დატყვევებული ბოლშევიკების მეთაურები როგორც ნამდვილი და ჭეშმარიტი რევოლიუციონერები და სოციალისტები.

თავმჯდომარე: სვიმონი ბელქანაია
მდივანი: დროთე კვარაცხელია
28 თებერვალი 1918 წ. დ. წალენჯიხა.

— —

წალენჯიხის საზოგადო კრების (ხუთასამდე მოქალაქე დაესწრო) ერთხმათ მიღებული 4 მარტს 1918 წ. ს. წალენჯიხის საზოგადოებამ მოვისმინეთ რა მოხსენება ბ. მაზრის კომისარის და სხვა პოლიტიკური პარტიების მოხსენებანი მომენტის შესახებ, ვდებულობთ შემდეგს: ჩვენ გვწამს სამშობლო და მისი დაცვა მით უმეტესი რევოლიუციონურის, მზათა ვართ დავიცვათ იგი როდესაც ზურგს გვიმაგრებს შავი ზღვის ფლოტი მთელი მისი შემადგენლობით, ვიმაღლებთ ხმას და უერთდებით რუსეთის რევოლიუციონური მუშების და გლეხების მთავრობას რომლებთან ერთად შეგვიძლიან დავიცვათ რევოლიუციონური სამშობლო, მაშინ კი გამოვდივართ არა ოცდა-ხუთი წლამდის არამედ თვრამეტიდან სამოცი წლამდე.

კრების თავმჯდომარე: ჯოლოხავა
მდივანი: ზუხბაია,

# ფოთი.

22 თებერვალს გამართეს მიტინგი ქართველთა მესამე პოლკის ჯარის კაცებმა.

მიტინგზე იქნა ჯარის-კაცების მიერ არჩეული თავმჯდომარეთ ჯარის კაცი მ. კასრაძე, რომელმაც გახსნა კრება. კრებას დაესწრნენ ბევრი გარეშე პირებიც.

ილაპარაკეს: ექიმმა ამხ. მ. ლეჟავამ და საშა ლამბაროვმა, რომელმა თავის სიტყვაში ნათლათ გაურკვიეს კრებას მიმდინარე მომენტი და მოუწოდეს მათ იბრძოლონ ყოველივე კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების წინააღმდეგ. 2 საათის ბაასის შემდეგ კრების მიერ შემუშავებულ იქნა და ერთხმათ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ ქართველი მესამე პოლკის ჯარის-კაცებმა მოვისმინეთ რა სიტყვები ამხ. ლეჟავას და ს. ლამბაროვის, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ ჩვენ მიერ დღეს მიტინგზე გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლიუცია: 1. ერთხმათ მოვითხოვთ რათა ამიერ-კავკასიაც აღიარებულ იქნეს მუშათა, გლეხთა და სალდათთა საბჭოების რესპუბლიკათ ერთა თავისუფალ კავშირის საფუძველზე, როგორც ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა ფედერაცია. 2. სრულ ნდობას უცხადებთ რუსეთის მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოების მთავრობას და მოვითხოვთ მთელი ძალა-უფლება აქაც გადავიდეს მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელში. 3. სასტიკ პროტესტს უცხადებთ ამიერ-კავკასიის კომისარიატს კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლებისათვის და ალექსანდროვის ბაღში მუშების დახოცვისათვის, მოვითხოვთ დამნაშავენი დაუყონებლივ იქნან მიცემულნი რევოლიუციონურ სამსჯავროში. 4 მოვითხოვთ სასწრაფოთ იქნან ციხიდან განთავისუფლებული მუშათა კლასის ნამდვილი ინტერესების დამცველნი ჩვენი ამხანაგები და აღდგენილ იქნას პრესა „ბრძოლა“, „კავკასკი რაბოჩი“, და „ბაკინსკი რაბოჩი“. 5. მოვითხოვთ აგრეთვე სესახალ საბჭოების არჩევნებს, როგორც ფოთში აგრეთვე სხვა ქალაქებშიაც. 6 გაუქმდეს მუდმივი ჯარი და შედგეს სუოველთაო მილიცია. 7 მკაცრ ბრძოლას უცხადებთ ხულიგნების მიერ თარეშს და პროვოკაციას ბოლშევიკების სახელით ჩადენილს.

რეზოლიუცია ერთხმათ იქნა მიღებული.

თავმჯდომარე—მ. კ—ძე

## წერილი რედაქციის მიმართ.

(ოლიმპიური წესით ბათუმში).

ორი მოხუცი, ზემოხეთის საზოგადოების მცხოვრებნი (გურია) ჩავიდნენ ბათუმში სალდათი შვილის სანახავათ. „პროპუსკის“ უქონლობის გამო გზაში პასპორტები ართვეს და წაიღეს კომენდანტის სამმართველოში. მეორე დღეს—შაბათს 3 მარტს მივიდნენ მოხუცნი სამმართველოში და მოითხოვეს პასპორტები. მათ განუცხადეს, რომ საქმე სასამართლოშია გადაცემული და მოელოდეთ ოცდახუთ მანეთით დაჯარიმებასო. მოხუცნი გამობრუნდნენ. მათ თან გამოჰყვა ერთი ახალგაზრდა, რომელმაც მოსთხოვა თითო თუმანი ქრთამში. ფულის უქონლობის გამო ქრთამი ვერ გადიხადეს და უპასპორტოთ დაბრუნდნენ სახლში.

ა. ურუშაძე.

შენიშვნა: შეიძლება მთავრობამ მოისურვოს ამ საქმის გამოძიება—მიმართონ ზემოხეთის საზოგადოების მცხოვრებთ: ლაზარე და მოსიკო ნატროას ძე თებზაძეებს, მეორე ქართულ პოლკში მყოფ ბიკტორ ბერონაას, ნიგოითის საზოგადოების მცხოვრებ მაღვა ფარცხალაიშვილს, ბათუმის სალდათთა და მუშათა საბჭოს წევრს თეოფილე ნასარიას. ა. ..

რედაქცია—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—ბოლშევიკების ამიერ-კავკ. ორგანიზაციის კომიტეტი.

## ადგილობრივ ორგანიზაციების საყურადღებოთ.

ჩვენი პარტიის ორგანიზაციებმა უნდა იქონიონ პასუხისმგებელი კორესპონდენტი უგზავნეთ "ჩვენს ბრძოლას" ცნობები და ანგარიშები, შემოწმებული და მოკლეთ დაწერილი.

მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა ი. დ. კილაძისა—ქუთაისში.